



დავით აღმაშენებელი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ე ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ხ ა გ რ თ ე ღ ო რ გ ა ნ ო .

აჯანყების წლის თავი.

ორი წელი გვაშორებს აგვისტო-სექტემბრის ამბებს და ჩვენ მანც ისე ვიგონებთ მათ, როგორც გუშინ, დღეს მომხდარს. და ეს არა მარტო იმიტომ, რომ მტერი ისევ მაჯალაჯუნად გვაწევს მკერდზე და, მისივე ტერმინოლოგიით, «გახურებულ» მანით სურავს ჩვენს სხეულს, არამედ უფრო იმიტომ, რომ მომხდარი აღმოუფხვრელია ჩვენი ხსოვნისა და თავისი დიადი მსწერის ხელში.

აგვისტო-სექტემბრის დღეებში პატარა საქართველო ეკვეთა დიდ რუსეთს და მონიდრამა მის კლანჭებისგან განთავისუფლებს! ფაქტი მარტივი თვის თავით, მაგრამ დაუჯერებელი, ძალთა უსწორმასწორობის მიხედვით. ის მანც მოხდა, ფაქტი, და მით ქართველმა ერმა დაამტკიცა, თუ რამდენად შეურაცხველია, შეუპოვარი და თავდადებული.

ქართველი ერი ემყარებოდა მეორე უსწორმასწორობას: რომელიც აშკარათ მის სასარგებლოდ ლადადებდა. ეს იყო უფლება თავისუფალ არსებობისა, სამართლიანობა, დამიანობა, შესისხლბორცვული მის მიერ უსწორად დროდნა და დასახული. როგორც საგანი დღევანდელ მისწრაფებებს. რას უყენებდა მტერი წინ ერის ამ მალე და სეტყა მისწრაფებას? ძალმომრეობას, ვერაგობას, სიფლიდეს, ცხადია, სიმართლეს საკვებით ქართველი ერის მხარეზე იყო. ეს სტეფეს ერთხმად, კიდევ აჯანყების დროს, ერთა ლიგაში წარმოდგენილმა 50 სახელმწიფომ და შემდეგ დასავლეთ დემოკრატიის საერთაშორისო და ადგილობრივმა ყრილობებმა.

მაგრამ ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო, როცა საზოგადო აზრი უნდა გახდეს ვადამკრები ფაქტორი საერთაშორისო კონფლიქტების მოსაპოვებლად. რაც შეეხება მოსკოვს, მასზე ხომ მარტო მოღერებული ხმალი მოქმედებს. ამ მხრივ უპირატესობა მის მხარეზე იყო და არის კიდევ—ეს უდაოა.

მოსკოვის ჯალათებმა ათასობით გამოასალმეს წუთისაფელს ჩვენი ძმები და მამები, არ დახოვეს ქალებიც, ბალებიც, მოხუცნიც. მადლიერი სამშობლო ქვეს იხრის მის საკურთხეველზედ შეწირულ სახელოვან შეილთა წინაშე, არ დაიფიქვებს მათ, მაგრამ ის არ დასტირის მათ მტრის ვასაგონად, ვასახარათ. ამ უმარაგმა მსხვერპლმა და თავდადებამ ადამაღლა ერი მის და სხვის თვალში, ხიდი გადავა მის გიბრულ წარსულსა და აწმყას შორის, უზრუნველყო ევროპის მომავალი. ქართველი ერი სდგას მთლიანი, ვით მონოლიტი, მის ნებისყოფას ვერას აკლებს მტრის დაუჯერებელი სიმუხთლუ და მტარავლობა.

გრძნობს მოსკოვი, კარგათ გრძნობს, რომ მის მიერ ჩადენილი დანაშაული დაუსჯელათ არ ჩაივლის; საქართველოს საკითხს ყველგან თვალში აჩრია მას, სადაც კი გაივლიან მისი ბაგეტები. სწორედ ამიტომ იდგმენ ესენი წლებზედ ვებს, რომ ვაითორბონ მოსკოვის მიერ ჩადენილი შევი საქმე. ისინი არ უშვებენ შემთხვევას ვერაპაში და უკანასკნელათ ამერიკაშიც, რათა საჯაროთ და უფრო ხშირათ საიდუმლოთ დააჯერონ გავლენიანი წრეები, რომ საქართველოში ყველაფერი რიგზეა და მხოლოდ ისინი გამოხატვენ ქართველ ერის ნამდვილ ზრახვებს. რამდენჯერ განაცხადა მოსკოვმა, რომ ქართველი ერი კმაყოფილია თავისი ქვედრით და რამდენჯერ უბრუნებდა იგი ამავე ლათაიებს! ქართულ მოდგმის არამზანდები კი ჯიბგირილი იხინი გამოხატვენ ქართველ ერის ნამდვილ ზრახვებს! ეს და შერჩათ მათ უფლებრივ-ნივთიერათ გაქურდულ საქართველოში, როგორც ხელისუფლების ატრიბუტი. რას ამტკიცებენ ისინი ამით? არა ქართულ ემიგრაციის, არამედ თავის თავის გახარწასა და განთავსირებას.

გახარწის პროცესი უკვე შეჭრილია «მაღალ ფენებშიც». თუ ჩვენ მოგვყავდა ამა წლის დასაწყისში, მე-14 ყრილობიდან, კომპარტიის შინაგან რღვევის უტყუარი ნიმუშები, დღეს უკვე ცენტრალური კომიტეტი და ქვეყნის ფაქტიური ბატონი პოლიტიკოსი ურსულის უსუპყირა განუტურხებელ სენს. გამოქვეყნებული ნაწილი ცეცის პლენუმის რეზოლუციისა აღიარებს, რომ ოპოზიცია შედგომია არალეგალურ ორგანიზაციების შექმნას პარტიის შიგნით, ხელმძღვანელ ცენტრალურ ორგანიზაციის ასაფეთქებლათ, და ამ «წერილ-ბურჟუაზიულ» შეთქმულობის ყველა ძაფებს კომინტერნისკენ მივყავართ, რომელსაც ზინოვიევი მეთაურობს. ამის გამო უკანასკნელი პოლიტიკურიდან გააძევეს და ბევრი სხვა «გამწმენდი» ზომა მიიღეს.

მაგრამ ეს ოპორტა რომ ვერ შეაჩერებს თავდაყირა დაქანებას, იქნადა სხანს რომ, ჩვენი დემოკრატები რეაქციონის «ოქროს გული» გაუსკდა, როცა მან პლენუმის წინაშე გამოუსავალ მდგომარეობის ნამდვილი სურათი დახატა. ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს ეს სურათი, რადგან დემოკრატების ადრე რაკოვსკიმ გამოფინა იგი რუსეთ-საფრანგეთის კონფერენციისაზედ პარიზში. რაკოვსკი ციფრებით ამტკიცებდა რუსეთის ეკონომიურ ფინანსიურ გაკატრებას, მის მცხოვრებთა ერთი ნაწილის ფიზიკურათ მოსპობას, ხოლო მეორე ნაწილის სადატაკესა და უსუფთაობაში ჩაიბრვას, თუ მას არ მიეშველენ უცხოელი კაპიტლისტები.

ჩვენ ვიცით, რას ნიშნავს ეს მიშველება: მსოფლიო ბურჟუაზიის წინაშე ამან-ამანის ძახილს ან უფსკრულში გადაშვებას, მესამე გამოსავალი არ არსებობს.

ამრიგათ, ჩვენ მოწმე ვხდებით იმისა, რომ «კავშირის» თავს პოლიტიკურს ცოფი ერევა სიბრახისაგან, რომ ვერ შესძლო ქვეყნიერებისათვის ცეცხლის წაქიდება; შიშისაგან, რომ მის წინ იმარტება მაღალი კედელი, რომელსაც ან ტრინი უნდა შესასას, ან უძრავათ აიტუზოს ქვით ჩაქოლვის მოლოდინში.

ქართველი ერი ხედავს ამ სურათს. მას შეცდომაში ვერ შეიყვანს მტრის ბაქიობა ახალ-ახალ «მიღწევებზე». მან იცის, რომ ასეთია ყველა რეჟიმის ადამი დახმობის წინ. ქართველ ერს არა ერთი და ორი მტრის სერი უნახავს წარსულში, რომ დღევანდელ მტრის წაქცივამ გააკვირვოს. მას შესწავლა მოთმინება, დაწმუნებულს იმაში, რომ საყოველთაო გამოსვლა ვაკილებით უკეთეს პირობებში მოუხდებდა მას, ვინემ 28 აგვისტოს 1924 წ.

ჩვენი უნივერსიტეტი და მოსკოვი.

ქართველი ერის ტრაგედია დღითი დღე ღრმავდება და მწვავდება. გამარჯვებულ რეაქციის იერიში იერიშებზე მიექვს, რომ ფიზიკურათ დაძლეული ერი მორალურათაც დაიმორჩილოს. ამ მიზნის მისაღწევთ ყოველივე საშვალება ნებადართულია: ხერხემა მასიურა, წამება, გადასახლება ციმბირის ყრუ კუთხეებში და სხვა. მაგრამ არ იქნა და არა, ქართველ კაცს სამშობლოს სიყვარულზე ხელი ვერ ააღებინეს. თავისუფლებისამდი მისწრაფება მასში ვერ ჩაკლეს.

უკანასკნელათ, როგორც გაქვთებმა ცნობა მოგვიტანეს, იერიში ქართულ უნივერსიტეტზე მიუტანიათ. მოსწავლე ახალგაზდობა ერის უფაქიხესი და უგრძობიერესი ნაწილია. ის მწვევით განიცდის ერის ტრიკულეს და ყოველთვის მზათა მას აქტიურათ გამოხატობა მოწინავე რიგებში იბრძვის ოკუპანტების წინააღმდეგ. ბოლშევიკები ხშირათ ჩივიან პრესაში თუ საჯარო კრებებზე, რომ ინტელიგენცია უკმაყოფილოა მათ, რომ მისი გული ვერ მოიგეს. სხანს, ისინი ინტელიგენციის გულის მოგებაზე აღარ ოცნებობენ. რადგან ეს მათთვის განუხორციელებელი შეიქნა, დღეს ბოლშევიკების ყურადღება ინტელიგენციის, როგორც განსახლდებული სოციალ-პოლიტიკური კათეგორიის, დაშლისაკენა მიმართულია.

ამ მიზნით ბოლშევიკებმა მოსკვს ქართული უნივერსიტეტი, როგორც მეცნიერების ტაძარი, თავისუფალმა ერმა შექმნა თავისუფალი უნივერსიტეტი; კარგავს ერი თავისუფლებას.—მტერი სპობს უნივერსიტეტს;—ეს ბუნებრივია.

თავისუფალ უნივერსიტეტის შემომქმედი ეროვნული მეცნიერების არსებობა და წარმატება შესაძლებელია მხოლოდ თავისუფალ ერის წიაღში. ეროვნული უნივერსიტეტი ერთი უძლიერესი ფაქტორთაგანია ეროვნული ინდივიდუალიზმის გამოქვეყნებაში, მოქალაქეთა ტიპის ჩამოყალიბებაში.—ამიტომ ანტიეროვნული ძალა (როგორცაა ბოლშევიზმი) ვერასოდეს შეურიგდება ეროვნულ უნივერსიტეტის არსებობას, ამიტომ იყო მეფის მთავრობა სასტიკი წინააღმდეგობითლისში უნივერსიტეტის გახსნას. მაგრამ უნივერსიტეტის მოსპობით ქართველი ინტელიგენცია არ ისპობა.

რა არის ინტელიგენცია და მისი წყარო? ინტელიგენცია არის განსახლდებული საზოგადოებრივი კათეგორია, აქტიური მატარებელი განსახლდებულ მსოფლმეცოდნობისა. ინტელიგენცია ერის წიაღში იხადება და იწერინება. იქ ღებულობს მორალურ და ინტელექტუალურ საზრდოს და სტიმულს.

მოწინავე ერს ყავს მოწინავე ინტელიგენცია, ჩამორჩენილს—ჩამორჩენილი, იმ ერს კი, რომელმაც საზოგადოებრივი ცხოვრება არ დაუწყია, ინტელიგენცია სულ არა ყავს. ამ გვარათ ძლიერი, ჩამოყალიბებული ინტელიგენცია ერის ორგანიზული განვითარების, მისი წარსული და ამწყას, მისი ყველა შემომქმედი ელემენტის ინტეგრალური სინტეზის შედეგია. უნივერსიტეტი კი ერთი ფაქტორთაგანია ეროვნულ შემომქმედების პროცესში. ამიტომ მისი მოსპობით, თუმცა ეს დიდი დანაკლისია ერისათვის, ქართული ინტელიგენცია, ქართული კრიტიკული საზოგადოებრივი აზროვნება ვერ მოსპობა და ეროვნული უკმაყოფილება კიდევ უფრო გაიზდება, რადგან უნივერსიტეტის მოსპობა აძლიერებს მოსწავლე ახალგაზდობის ახალი კადრებით უკმაყოფილოთა რიცხვს. ბოლშევიკებმა, თუ სურთ ინტელიგენციის, საზოგადოებრივი აქტიურობის მოსპობა, უნდა შესწლონ თვით ერის პოლიტიკური და მორალური გავლენება, რაც ორჯინიციულ-ლონტის ძალღონეს აღებატება.

ვინ განავებს დღეს უნივერსიტეტს? —ივანე ჯავახიშვილი, დამახურებული პროფესორი, გამოჩენილი მეცნიერი და ლირისული მოქალაქე, ყველას მიერ პატივცემული.—გადაყენებულია!

თედო ლლონტი, სრული უეცი, მედროვე, მოალატე, რენეგატი, ყველასათვის სახიზლარი.—ქართული უნივერსიტეტის რექტორია!

რა უსახლვრო ცინიზმია, რა ბოროტი დაცინეა სამართლიანობის!

თუ რამდენათ შორს მიდის თედო ლლონტის ცინიზმი და უეციობა,—ეს ნათელია მისი წერილიდან, რომელიც მოთავსებულია «კომუნისტში» (23 იანვრი, 1926 წ.) სათაურით «რუსული ენა და ჩვენი ინტელიგენციის ექსპორტი». ჩვენ სრულებით არა გვაქვს ხალისი თედო ლლონტს ვეკამათოთ და ვამტკიცოთ, რომ ის უეცი და ცინიკია. ეს არა მიზანშეწონილი შრომა იქნებოდა. საქართველოში ისედაც ყველასათვის ურავო უკმაყოფილებაა, რომ თედო ლლონტი ყოველმხრივ ძლიერ დაბალი ღირსების ქმნილებაა. მაგრამ ზედმეტი არ იქნება შევეხოთ ზემოხსენებულ წერილში მის მიერ წამოყენებულ ზოგიერთ დებულებებს, რადგან აქ თედო ლლონტი თავისი ჩვეულებრივი სიუფხურით საკვებით ამიშვლებს ბოლშევიზმს და თუ აქამდე ვინმესთვის ძნელი დასანახი იყო უკანასკნელის ნამდვილი ბუნება, დღეს ეს ყველასათვის თვალსაჩინო ხდება.

ბოლშევიკური რუსეთი,—ეს იგივე რეაქციონური რუსეთია. ამიტომ მისი პოლიტიკა საქართველოში იგივეა, როგორიც იყო ნიკოლზ მეორის, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ბოლშევიზმი უფრო უგრძობათ და უფრო ცინიკურათ აწარმოებს რუსიფიკატორ და კოლონიზატორ პოლიტიკას საქართველოში, ვინემ ნიკოლზის მთავრობა, თედო ლლონტი მოსკოვის სახელის პირდაპირ მოითხოვს ქართველების გარუსებას და გადასახლებას რუსეთში, ხოლო რუსების ჩამოსახლებას საქართველოში.

აი მისი სიტყვები: «მხოლოდ რუსული ენით მიეცემა გზა ქართულ ინტელიგენციას, მხოლოდ რუსული ენის საშვალებით გაიხსნება რუსეთის ბაზარი და შესაძლებელი გახდება ქართული ინტელიგენციის ბუნებრივი ექსპორტი...» ქართველ ინტელიგენციას გზა უნდა მიეცეს, მას ბაზარი უნდა გა-

ხსნას. იგი უნდა იყოს ბუნებრივი ექსპორტის მასალა, ამ დიდი მიზნების განაღდება მხოლოდ და მხოლოდ რუსული ენისადმი განსაკუთრებული სიყვარულით შეიძლება».

«თუ არ შეიცვალა არსებული მდგომარეობა (ესე იგი თუ არ გარუსდა ქართველობა), მე ვარწმუნებ ყველას, რომ ქართველი ინტელიგენციის დაავადება იმ ზომას მიაღწევს, რომ თვით ქართული დაწესებულებანიც უარს იტყვიან ქართველი ინტელიგენციის მიღებაზე».

ამ სიტყვებს კომენტარები არ ესაჭიროება. არც ერთ რუსიფიკატორს ჩვენში არ გაუბედავს ასე აშკარათ თავისი ქვენა ზრახვების გამოთქმა. ლლონტმა ვაბედა, იმიტომ რომ ის უგრძობი უპასუხისმგებლობა, გარუსება და გადასახლება და ცარიელ ადგილებზე რუსების ჩამოსახლება—აი რა უბრალოთ წყდება, ლლონტის აზრით, ქართული საკითხი.

რატომ მაინცადამაინც უნდა გადასახლდენ ქართველი ინტელიგენტები ცივ რუსეთში?—მასუსს გარკვეულს თვით ლლონტი იძლევა: «შინ დარჩენილი ქართველი ინტელიგენციის მასა, რომელიც დღითი დღე მრავლდება, წარმოადგენს არსებითად ყალბ ელემენტს, რომელიც ჯერ დაეძებს სამუშაოს, ხოლო როცა სამუშაოს ვერ იშვობს, უნებლიეთ ხდება პროტესტის გუნებაზე, ათას ჭორებს მისდევს, წამოგვება ყოველ გვარ ავანტიურას, ვინაიდან მას ავანტიურა დარჩა ერთად ერთ საქმეთ».

ამ გვარათ მოტივი ქართველების რუსეთში გადასახლებისა არის ის რომ ისინი უკმაყოფილო ელემენტებია, რომ ისინი რევოლუციონური ძალაა და ოკუპანტებისთვის ყოველთვის საშიშროებას წარმოადგენენ.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ბოლშევიკები ასეთი ოპორტიუნული ქართულ საკითხს ვერ გადაწყვეტენ, პირიქით ისედაც გამწვავებულ მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებენ.

თედო ლლონტის ზემოხსენებული წერილი, მისი უნივერსიტეტის «რექტორათ არჩევა» და ის განცხადება, რომელიც მან უნივერსიტეტის მომავალ მუშაობის შესახებ გააკეთა—ეს პირდაპირ ცინიკური ვალიზიანება და გამოწვევაა ქართველი ერისა.

თედო ლლონტი ლაპარაკობს ქართველ ინტელიგენციის უეციობაზე. ქართველ ინტელიგენციას დამცველი არ სჭირია, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ქართველ ერს ყავს ღირსეული ინტელიგენცია, აღუზრდილი სათანადო ცოდნით და მუშაობის უნარიანობით, ქართველი ინტელიგენცია მშრომელი ინტელიგენციაა. იგი იწყებს ჩამოყალიბებას მეორმოცდა ათიან წლებში და თავისი პრაქტიკული საქმიანობით, წყრით თუ სიტყვით მუდამ პროგრესს ემსახურება, საკულობრია და ეროვნული იდეალი პარზონიულათ შეხვეებული მისი გზის მარჯვენელი ვარსკვლავია, ის მუდამ მზათ არის საპირადო მიიტანა მის მსხვერპლათ საერთოს საკურთხეველზე, ის მუდამ წამებულია იდვისათვის, ის ისეთივე სუფთაა თავისი მოქმედებაში, როგორც თავისი აზროვნებაში. გადახედეთ ჩვენს პუბლიცისტის, ლიტერატურის, პრაქტიკულ საქმიანობას, ყველგან თქვენ წინ გადაიშლება დიდ ბუნებრივად ქართველი ინტელიგენციისა. ქართველი ინტელიგენცია ღირსეული შვილია ქართველი ერისა. თედო ლლონტი უეცი და დეგერენატია და მას არ შეუძლია გაიგოს და შეაფასოს ჩვენი ინტელიგენცია.

თედო ლლონტი აცხადებს, რომ სწავლა-განათლებლის საქმე ცუდათაა დაყენებული საქართველოში. აქ ჩვენ მას არ ვედავებით. ბოლშევიკებს განათლება კი არ მოაქვთ ხალხისათვის, სიბნელე და ველურობა. პროგრესიული, მომავლის ერი ორგანიულათ ვერ ეგუება უკულტურობას და აქ იხადება ბრძოლა კულტურისა და უკულტურობის. თუ რამდენათ გამწვავებულია ჩვენში ეს ბრძოლა—ეს აშკარაა თედო ლლონტის «საუბარიდან» («კომუნისტი» № 156 (1701), 1926 წ.). აქედან სხანს, რომ ბოლშევიკებს სურთ მეცნიერება მოსპონ უნივერსიტეტში და ის პარტიულ «იჩივიკათ» გადააქციონ, სადაც «პროფესორებათ» პარტიული პროპაგანდისტები იქნებიან. თედო ლლონტი აი ამ «იჩივიკის» და არა უნივერსიტეტის «რექტორათათა» არჩეული. «იჩივიკის» ერთგულ წევრებს სტიპენდიები ექნებათ დანიშნული. აი ასეთია ფაქტიური ვითარება. ამიტომ ჩვენთვის სრულებითაც ვასაკვირო არაა, რომ თედო ლლონტი «გაარქეტოვებს». «წელს ტენიკუმები და მე-9 წლები დაამთავრა 12 ათასმა ახალგაზრდადამ. უნივერსიტეტს კი წელს შეუძლია კარები გაუღოს მხოლოდ 500 მოსწავლეს. რატომ? იმიტომ, რომ «უნივერსიტეტში» მიღებისას იქნება «გამწმენდა» და მიიღებენ მხოლოდ თავისიანებს, ისეთებს, რომლებიც იკისრებენ ბოლშევიზმის ერთგულ სამსახურს.

რამდენიმე ათასი ახალგაზრდაობა ყოველ წლივ რჩება სასწავლებლის გარეშე, რომ ეს დიდხანს ვაგრძობდეს, ერი ძლიერ დაზარალებულია, მაგრამ, საბედნიერათ, ბოლშევიზმი ისე ჩქარა მიექანება უფსკრულისაკენ, რომ მისი სრული ლიკვიდაცია ახლო მომავლის საქმეა.

თედო ლლონტი ლაპარაკობს თავის «საუბარში», რომ გაეცნო უნივერსიტეტის პროფესორებს და დარწმუნდა, რომ მათ «სათანადო ხელმძღვანელობის პირობებში შესწევთ უნარი შეითვისონ თანამედროვე აზროვნების ახალი მიმდინარეობა, შეუძლიათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ჩვენს საზოგადო და სახელმწიფო მუშაობაში». ამ გვართ ლლონტს იმედა აქვს, რომ მისი ხელმძღვანელობით ქართული უნივერსიტეტის პროფესორები გაბოლშევიკდებიან როგორც თავისი აზროვნებაში ისე პრაქტიკულ საქმიანობაში, რომ უკმაყოფილების მეცნიერების მაგივრათ ისინი ორჯინიციის და ლლონტის «მეცნიერების» სამსახურს შეუღებებიან. ძნელი დასაჯერებელია, რომ უკმაყოფილებამ მეცნიერების ხელმძღვანელობით და პროგრამით იმუშავოს, უკუაღდოს მეცნიერება, ერი და ბოლშევიკების პროპაგანდისტი გახდეს. თუ ვინმე პროფესორის ქურქში გახვეული დღევანდელ პირობებს უნივერსიტეტში შეურიკდება და ლლონტის პროგრამის (ე. ი. მოსკოვი) განხორციელებას შეუღებება,—ის ისეთივე ღირსების «პროფესორი» და «საზოგადო მოღვაწე» იქნება, როგორცაა თედო ლლონტი.

რაც დრო გადის ბოლშევიზმი, სულ უფრო და უფრო

კარგავს გონიერებას და ეს ბუნებრივია. საბედისწერო კრიზისის დროს გონიერება ქრება. ვინც თვალსაზრის აღწევს ბოლომდე...

ქართული უნივერსიტეტის მოსაზრებით ქართველი ერის ტრადიციული მწვერვლები, მაგრამ, «ვინც ელის იმის სიკვდილს— იმას უმალ დაამწყვდევს».

ილია ნუცუბიძე.

სურ-გეგმები და პოლიტიკური პრინციპები.

მე არა ვწერ წერილებს არავის. და დასჯილი ვარ იმით. რამ არა მწერენ სხვებიც. არა ვფიქრობ იმასაც, რომ ასე უნდა იქცეოდნენ ყოველი ემიგრანტი, მაგრამ ერთი კარგი შედეგი ჩემი ასეთი გულწრფელად...

მაგრამ წერას ვერავის აუტოვებ. ემიგრანტები სწორედ და, უნდა ითქვას. ბევრსაც სწავრა. სწორედ ჩვენ შინაურ ავკარგვდნენ, ჩვენ აუცილებლად დავანებდნენ, მაგრამ არა თანხმად პრინციპისა: «ცოტა რამე სამდურავი მეზობელთა წესიანთ».

ასეთმა ფიქრებმა მომიარეს დაახლოებით, როცა ბოლომდე ვიყავი გახეთქილ ქან მარო მახარაშვილის წერილი ამოვიკითხე. მიწერილი ბ-ნ. უმბუბურიძესთან, უმბუბურიძე ჩვენი განხეთის თანამშრომელია და არც მახარაშვილია ბოლომდე...

რასა სწორედ ბოლომდე ვიყავი პრესის ეს უნდობლივ თანამშრომელი? ცხადია არა იმას, რასაც სწორედ ბ-ნი ალხინანაშვილები და საზოგადოებრივი იმისი, ვისიც ჩვენთან ყოფნა ღმერთმა დასწყევლა. მაგრამ შეუნდობს თუ არა ბოლომდე...

მე არ ვწვევები ყველა წერილებს. მე წავიკითხე ქ-ნ მახარაშვილის წერილი და უნდა გამოვხატო, წაკითხულმა ჩემს მოლოდინს გადააჭარბა: ერთგულ-დემოკრატიის წერილი სოციალ-დემოკრატიან და ისიც ასეთი გულ-აზლილი, მაშინ არის, თუ არა საერთო ფრონტი. მართლაც, მართლაც ფრონტი, რადგან ერთმანეთს საერთო მართალიც არ უნდა ითქვას? ქ-ნ მახარაშვილი თავის წერილს მართლა ბოლომდე...

არ ვიცი რატომ, მაგრამ მე გულუბრყვილოდ მეგონა, რომ ქართველი ქალები ემიგრაციაში მხოლოდ საკერავით იმუშებდნენ. გახსოვთ კვინეს ლექსი: «ჩვენ ძველ გერმანისა სუდარას უკრავდით» მე მეგონა, ჩვენ ქალები სწორედ ამ სუდარას უკრავდნენ ბოლომდე და საქართველო ამ ხელს იტყუებდნენ. მაგრამ ეტყობა ჩვენა გვეყავს უკიდურესი სხვადასხვაობა ქალების და ზოგი მათგანი ამ სუდარას ჩვენ გვიშვებდა. ქ-ნ მახარაშვილის წერილი უბრალოდ ემიგრანტი წერილი არ არის და მასში პოლიტიკური ენა-რი მოხსანს. ჩვენი გვეყავს. მაშ, ჩვენი Madame de Stal? ჩემის აზრით, იგი რუსული დამა კუსკოვა-ც არ არის. ქ-ნ მახარაშვილი ჩვენი ქართული სურ-გეგმია. ჩვენთან ერთად ემიგრაციაში წამოსული. გახსოვთ «კაცია ადამიანი» სურ-გეგმის ლუარსაბ თათქარბის დაქორწინება მიანდეს და მან მთელი ქვეყანა გადააბრუნა. დარწმუნებული ვარ, აქაც ასე იყო. უმბუბურიძემ სხვა, მომწერე, რა ხდება თქვენს პარიზში და ქ-ნ მახარაშვილმა ცა თავზე დაგვაქცია! ქალები წერილებს არასოდეს არა მწერდნენ და შეიძლება ქალური წერილების ნაკლები დამფასებელი ვიყო. მაგრამ ნუ თუ ასე უნდა სწორდეს ქართველი ქალი? მაპატიონ ყველა ქალებმა. მაგრამ ქართული რძის მაგივრად ასეთი კული მელნის ტარებაც მუქუმი. თამარ დედადგის დახდილებს არ ვკადრებთ. იმ დროს როცა ქართველ ერს მართლა ელვტენ, როგორ უნდა სთქვას ქართველმა ქალმა, რომ ერთგულ-დემოკრატები ღირსნი არიან ბოლომდე ერთ დღეს გაკლიტონო. ამახ სწერს ქ-ნ მახარაშვილი და ამახ მხოლოდ ის უნდა დაუმატოს, რომ მახარაშვილი ჩვენი პარტიული და არის! ფუ. ეშმაკს, აჟო! არის დანაშაული, რომელსაც მაშინვე უნდა პატიება, რათა ადამიანური ღირსება მართლა არ შეიღებოს. მე ნებას ვაძლევ ჩემ თავს ვაპატიო ასეთი არა ქალური და არა ქართული სისასტიკე, არა მართლაც ცხადია, უკვე გაქვალთ ერთგულ-

დემოკრატია სახელითაც, მაგრამ რა არის მიზეზი მისი გაბოროტებისა?

ქ-ნ მახარაშვილი სწორს. თითქოს ერთგულ-დემოკრატიები მანარქისტები ვიყოთ, მაგრამ ჩვენს ვეძებდით და გავლენის ღირსიც იმითმავართ. ჩვენა გვეყავან პოლიტიკური მოწინააღმდეგეები არა მარტო ბოლომდე, ჩვენ გაერთიანებულ ფრონტშიც, რომლებიც ყველა ჩვენს ნაბიჯს მუშტრის თვალთ წამოხედა და ასეთი ბრალი მათაც არ დაუდევიათ. მაგრამ ქ-ნ მახარაშვილი ირ. წერეთელსაც იწუნებს და მე ვერც არსად გამოვიდა, რომ ის მანარქისტი იყოს, არ მოსწონს ნ. რამიშვილიც და არც ის გამოვიდა, რომ რამიშვილი მაგარტიონ თვალთ წამოხედა და ასეთი ბრალი მათაც არ დაუდევიათ. მაგრამ ქ-ნ მახარაშვილი ირ. წერეთელსაც იწუნებს და მე ვერც არსად გამოვიდა, რომ ის მანარქისტი იყოს, არ მოსწონს ნ. რამიშვილიც და არც ის გამოვიდა, რომ რამიშვილი მაგარტიონ თვალთ წამოხედა და ასეთი ბრალი მათაც არ დაუდევიათ. მაგრამ ქ-ნ მახარაშვილი ირ. წერეთელსაც იწუნებს და მე ვერც არსად გამოვიდა, რომ ის მანარქისტი იყოს, არ მოსწონს ნ. რამიშვილიც და არც ის გამოვიდა, რომ რამიშვილი მაგარტიონ თვალთ წამოხედა და ასეთი ბრალი მათაც არ დაუდევიათ.

ქ-ნ მახარაშვილის გაბოროტება, ან სხვა ემიგრანტთა უკმაყოფილება აისწრაფს არა იმით, რომ წერეთელი ოპოზიციონია, რამიშვილი მარჯვნივ, ყორანია ცენტრში და ერთგულ-დემოკრატები მთლად საქართველოს ტახტზე ალაგდნენ. ამაში ბევრი და უქმი განხილვის უმანკობა. მათ ის აბოროტებს, რომ საქართველო თავისუფალი არ არის. ან რაზედ დავმალეთ. იქ, საქართველოში, მდგომარეობა საშინელია. მარტო ერთი თელი ლონტის რეპტორობა რათ ღირს! მით და ნუ განჩხვლები. წარსული ბრძოლის კივილი ბუნებრივად სიხუმრე შესცვალა. ყველა იცის, რომ არის დღე, არის ბინდი და ისევე დღე, ჩვენ ამ ორი დღის შუა ბინდში ვართ ვხლა. ამ ბინდში ბევრი ვეღარ ხედავს იმ იდეურ საზარდს, რომელიც აქამდე ჩვენ მოთმინებას კვებავდა. ფრანგები კი ამბობენ: როცა ასურში თივა ილვავ, ცხენები ერთმანეთს ეჩხუბებიანო. აი მიზეზი იმ ნერვიულობის, რომელიც ემჩნევა ემიგრაციას. ამახ დაბადა უკმაყოფილება, ამიტომ გვეჩხუბება ქ-ნ მახარაშვილიც. ამახ ზოგი სულ ავიჯანყა და, მსგავსად ქ-ნ მახარაშვილის წერილისა, დღეს მტრის ბანაკში არიან. ზოგი ვაგულისა და ცალკე უნდათ ქვეყნის განთავისუფლება. მოითხოვენ უკეთეს პოლიტიკას! მაგრამ სად არის ის ბენდიერი პოლიტიკა, ბრძენი უკუა, ჯავარიანი წერილი, რომელიც საქმეს ერთის დავითს აკეთებდნენ? ჩვენა გვეყავრბოთ საქმეები დატივთულ დროს, როცა უდიდეს სახელმწიფოთა გამრავლებული ღონისძიებანიც უქმად რჩებიან. მთავრობა მთავრობას სცვლის ყველგან. რევიმი რევიმი, ერთს ქვეყანაში პარლამენტი მთავრობასაც არ უთმობს უფლებას, მეორეში პარლამენტი თითონ უბრუნებს ხელს თვითმპყრობლობას. ევროპა თითის წვერებზედა სდგას და კაცობრიობა ციბრუტივით ტრიალებს, არ იცის სად მოიტყვის კისერს და სად ადგება ისევე. ბოლომდე დამის თულებივით დაძრვან ყველგან და ხან სად უკიდებენ ცეცხლს. ხან სად. მათ ვინაა სწავრა ჩვენი თავისუფლება და ჩვენში არიან პოლიტიკური პრინციპები, რომლებიც წუნის უთქმელად სიტყვას არ სძინავენ და იმ საქართველოს უწუნებენ პოლიტიკას, რომელსაც, ამ საერთო ორმტრიალში და უთვისტოში ქვეყანაზედ, დაკარგული თავისუფლების მეტი არაფერი გაანია! რა არის ეს—მაშულოშილობა, საქმის გულშემტკიცებობა? ეს ჩვენი ძველი ავადმყოფობაა, ჩვენი ძველი ქართული «მე ვახლავარ», რომელიც მუდამ ღუპავდა საერთო საქმეს და ემიგრაციიში წამოსაღვი არ იყო. ამ სულ-წასულ ხალხს ჩვენ მხოლოდ ერთი შეგვიძლიან შევძახოთ: მოთმინება! რომელ ქართველსაც ეს არ აქვს, მას არ შეუხვამს ჩვენი სიბრძნის უ, უკდავება ჩვენი ხალხისა და მამასადავ ჩვენი საქმისა—რუსთაველი, რომელიც ამბობს:

მისა შუქის მომლოდინე, ვართ სამი დღეს არ დასკვნების. მ. ამირჯანი.

კ ა ვ კ ა ს ი ბ ს რ ო მ ლ ე მ ა .

ესლანდელ რუსეთს ჯაქვისავით შემოერთებენ ახალი, ერთგული სახელმწიფოები: ფინეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა და პოლონეთი. ღონის ხელშეწყობამ და ჯაქვის მიუხედავად ახალი რეგულირება იქნება. ევროპის პოლიტიკის წინაშე ბუნებრივად დგება კავკასიის პრობლემა. ეს პრობლემა უნდა გადაწყდეს ახალი რეგულირების მიმართებით. ეს რეგულირება უნდა თავისუფალი კავკასია. აი რა შედეგები მოჰყვება ამას:

ოსმალეთისათვის.

მარშან, პარიზში, ოსმალეთის მინისტრებმა რუსეთ-ბემ და რუსეთის კომისარმა ჩინგინმა დადეს პირობა ნეიტრალიტეტისა თუ ერთმანეთის დამხარებისა. მაგრამ რამდენი პირობებზეც არ უნდა დადონ მეგობრობის თუ კეთილმეზობლობის. იგი ვერ შესცვლის საზოგადო ხანს რუსეთის პოლიტიკის ოსმალეთის მიმართ. უკანასკნელი სამი საუკუნის განმავლობაში რუსეთმა განაბნია ოსმალეთთა ძალა შავი ზღვის მიდამოებთან, შემოიჭრა ბალკანეთში, მიადგა სტამბოლს და კინაღამ აიღო იგი; მერე, რა რომ ევროპის დიპლომატიამ აქ გადაუჭრა გზა, კავკასიის ყელიდან აწვევა ოსმალეთს და მოსვენებას არ აძლევს. დღეს, დაპატარავებული, დალილი და მოქანცული ოსმალეთი შეიძლება ახალი ლუქმა განდეს რუსეთისა, თუ რუსეთის მსგავლობას არ გადაუჭრა გზა, როგორც ეს მოხდა ბალკანეთში და ამ ორ სახელმწიფოთა შუა არ აღიმართა ერთნაირი ნეიტრალური ზონა. ეს ზონა არის კავკასია.

სპარსეთის ბედაც ისეთივეა, როგორც ოსმალეთისა. რუსეთმა დიდი ხანია ჩაიგდო ხელში კასპიის ზღვა და თანდათან მეთოდურად, მიიწვევა სპარსეთის უბისაკენ, რომ გაიღდეს ინდოეთის ოკეანეზე. განთავისუფლებული კავკასია მოუღდეს ბოლოს ამ მსგავლობას. მისცემს მოსვენებას სპარსეთ-ოსმალეთს. და მრავალი ერი მიკრება და წინა აზიისა მშვიდობიანად შეუდგება თავის ცხოვრების მოწყობას და განვითარებას.

რუსეთისათვის.

ბოლომდე ვიყავი წყალობით დანგრეული და წამებული რუსეთი მხოლოდ მაშინ ადგება, როცა განიკურნება კომუნისტურ სენისაგან და დაივიწყებს ლენინისტურ ბოღვას შესახებ ქვეყნიერების დაპყრობისა და მისი სამოთხედ დარაქმისა. რუსეთი დიდი ქვეყანაა, მისი მიწა ვრცელია, მისი ბუნებრივი სიმდიდრე უაზრებელი. იმას არა აკლია-რა. ამიტომ უნდა მოეღოს ბოლო მის იმპერიალისტურ ზრახვებს. კავკასიის განთავისუფლებით იმას არა დააკლებდარა. იმას რჩება კასპიის და შავი ზღვის ჩრდილო ნაწილები, იმას ექნება ყოველთვის სრული უფლება ტრანზიტისა კავკასიაში. თავისუფალი კავკასია წინ ედგება მხოლოდ მის აგრესიულ პოლიტიკას და კომუნისტურ სიხმრებს. და არა მის შინაურ ზრდასა და განვითარებას. მისი ეკონომიური განვითარება არ იზღუდება არაფრით და მისი სავაჭრო გასაქანი რჩება სრული და თავისუფალი. მაგრამ, იტყვიან, კავკასია დიდ სიმდიდრეს წარმოადგენს და რუსეთი იმას ადვილად ვერ დათმობს! საქმეც იმაშია, რომ ეს სიმდიდრე არ არის რუსეთისა, ეს სიმდიდრე ეკუთვნის კავკასიის ერთ და მისი გაყემა ან მისაჯურება არავის

შეუძლიან. მართალია, რუსეთის კაპიტალი დაბანდებულია ნავთის წარმოებაში, მაგრამ უცხო კაპიტალიანი წარმოებით მისი რაოდენობა მცირეა და უმნიშვნელი. ადვილია მისი განთავისუფლება და ანაზღაურება. მართალია ისიც არა მცირეა, მაგრამ კავკასიიდან დიდძალი ნედლი მასალა, უცხო მნიშვნელობაში უნდა იქნეს მიღებული და სამართლიანად მოწესრიგებული. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სამაგიეროდ კავკასიის რუსეთიდან თითქმის არა მოდიოდა-რა. გარდა უფარვისი და ძვირი მანუფაქტურისა. საზოგადოდ ტექნიკური მასალა, ქამიური ნივთიერება და საფაბრიკო ნაწარმოები მოდიოდა კავკასიაში ევროპიდან და არა რუსეთიდან. კავკასია არ არის ეკონომიურად დაკავშირებული, მისი განვითარება კი შეუძლებელია და შეუძლებელი რუსეთის ბატონობით და მისი აუტანელ საბაჟო პოლიტიკით.

კავკასიისათვის.

კავკასიის განთავისუფლება დიდი ბედნიერება იქნება ყველა მისი დატანჯულ ერებისათვის. ამ ერებს სადავო და სახსუბარი თავისთ შორის არა აქვთ-რა. თუ რამ უკმაყოფილება იყო წარსულში, ეხლა ყველა ხედავს, რომ ხსნა და იმეორე მხოლოდ შეთანხმებულ მუშაობაშია. კავკასია უნდა გავება ოთხი ერთგულ სახელმწიფოსაგან: საქართველო, სომხეთი, აზერბეიჯანი და ჩრდილო კავკასია. თითოულ ამ სახელმწიფოს შეუძლია დამოუკიდებელი ცხოვრება და განვითარება, მაგრამ—როგორც ამტკიცებს შორი და ახლა წარსული—თითოულს მათგან ყოველივეს ემუქრება საერთაშორისო ტალღა. ამ ტალღის შესანელებლად საჭიროა ერთი მთლიანი ფრონტი, რაც ხელს სრულებით არ უშლის თითოულ ერის დამოუკიდებელ არსებობას და განვითარებას. ეს ყველამ შეიგნა ახლა და ბოლომდე მისი განდევნას კავკასიიდან ადვილად ბუნებრივად მოყვება აღდგენა წესიერების და კანონიერებისა. ევროპა და ამერიკაც სწორედ ამ მომენტს ელის. კაპიტალი მეტად მშინაარა არსება, იგი გაურბის სამოქალაქო ომს. რასაკვირველია, ევროპისა და ამერიკის სამრეწველო და საფინანსო წრეები მოაწყდებიან კავკასიას, აღჭურვილი ფულითა და ტექნიკითა, სწორედ იმით, რაც ჩვენ გვაქვია. შედეგად ცხადია: ამით მკვიდრი საძირკველი ჩაყრება ადგილობრივი, საქთარი მრეწველობის აღორძინებას, მთელი კავკასია გაიშლება და აყვავდება და მალე გახდება ერთი უმბუბური რესი კუთხე დედამიწის ზურგზე.

ევროპისათვის.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს კავკასიის განთავისუფლებას მთელი ევროპისათვის. კავკასია ცნობილია როგორც უშრობი წყარო ყოველნაირ ნედლი მასალისა, ამავე დროს იგი ერთი დიდი ბაზარია ყოველნაირ საფაბრიკო ნაწარმობისათვის. ევროპა უკანასკნელი ომის შემდეგ ენაცუდის დიდ კარხის თავის ეკონომიურ ცხოვრებაში. მას განსაკრებულ ბლომად ნედლი მასალა და ბაზარიც. ამიტომ ეჭვი არ არის, მის ეკონომიურ აღდგენაში კავკასია ითამაშებს განსაკუთრებულად მნიშვნელოვან როლს.

კავკასიის ყელი ვრცელი და თავისუფალი გახდება შუა და წინა აზიისაკენ. ეს ქვეყნები ეხლა სულ მოწყვეტილი არიან ევროპას და ამერიკას, მაშინ კი, როცა შეიქმნება ეს ნეიტრალური ზონა კავკასიისა, ბუნებრივად ჩაებმან საერთაშორისო ეკონომიურ მოძრაობაში. გამოვლენ მსოფლიო კულტურის სინათლეზე და მიიღებენ თანაბარ მონაწილეობას კაცობრიობის წინმსვლელობაში. არა მარტო საქართველო, რომელიც დასაბამით ეკუთვნოდა ხმელთა შუა ზღვის კულტურას, არამედ მთელმა კავკასიამ უნდა იბრუნოს პირი ევროპისაკენ და დაადგეს იმ გზას, რომელიც ჩაწყვიტა ისტორიით და გახსნილი თვითონ ბუნებით: ეს გახსნის—შავი ზღვა და სრუტეები.

სიძნელე პრობლემა.

კავკასიის განთავისუფლება არც ისე ძნელია, როგორც ეს შეიძლება მოგვეჩვენოს. ჯერ ერთი, საქართველო ცნობილია, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, აგრეთვე სომხეთიც, მამასადავ რუსეთის ბატონობას იქ უნდა მოეღოს ბოლო. ეს სადავო არ არის. სადავო შეიძლება ვახდეს აზერბეიჯანი და ჩრდილო კავკასია, მაგრამ დავა იმისთვის არის დავა, რომ ის შეიძლება გათავდეს მორიგებით, მითი უფრო რომ მოსკოვის მთავრობა ეხლა დიდ გაჭირვებაშია ეკონომიურად და ფინანსურად, მისი წარმომადგენელი დაძრვან ყველგან რაიმე სესხის საშოვნელად. მაგრამ სესხს ამა ვინ იმცემს ბოლომდე, თუ არ იქნება საქმარის გარანტორი? აი ამ ნიადაგზე შეიქმნება მოხდეს შეთანხმება: მოსკოვი არაფერს ჰკარგავს, თუ გაიყვანა ჯარი კავკასიიდან, გარანტია კი შეიძლება მოხერხდეს საერთაშორისო ხასიათისა. ბოლომდე ვახდეს სადავო არა აქვთ. მათი გაჭირვებისაგან შეიძლება იშვას კავკასიის თავისუფლება.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მსოფლიო პოლიტიკის მეთაური ამას მიჰქცევს ჯეროვან ყურადღებას და გადასურებან კავკასიის პრობლემას ისე, როგორც ამას მოითხოვს უბრალო სამართალი და საყველათო ინტერესი.

გიორგი გვაზავა.

ჩ ვ ე ნ ი ო მ ე ლ ე მ ო .

მეექვსე წელია, რაც საქართველოს მიწა-წყალს მტერი პატივობს. ამ ხნის განმავლობაში ის განუწყვეტელი ღვრის ქართველ ხალხის სისხლს, შეურაცხველ და განადგურებას უქადის ერის წინდათა-წინდას. მის ენას და კულტურას. მაგრამ ქართველი ხალხი ვერ დაიმონავა მტერმა, ერი ებრძვის მას და მედგრათ უწევს წინააღმდეგობას. ხალხს სწამს, რომ გამიარჯვებს. სანადის ცოცხალი, იარაღს არ დაპყრის და რადაც არ უნდა დაუჯდეს, მაინც მოიპოვებს თავისუფლებას. რაზედ ვაპყრებთ ჩვენს იმედებს? რა არის იმის თავები, რომ ქართველი ერი გამიარჯვებს? გადავავლოთ თვალი ისტორიულ ფაქტებს. კაცობრიობის ისტორია—ეს ერთა ბრძოლაა პოლიტიკურ და ერთგულ თავისუფლებისათვის. ეს ბრძოლა საშუალო საუკუნემდე არ იყო ერთგვარად ჩამოხმული და გარკვეული, მაგრამ ნასახები ერთგული ბრძოლისა ცხადია ხანდა ხანა და წინადაც. დაპყრობილი ერები მუდამ იბრძოდნენ თავისუფლებისათვის. ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ რომელიმე სახელმწიფოს დაეპყროს სხვა და სხვა ერები და მას ბოლომდე შეჩინოდეს ბატონობა. დაჩაგრულ ერებისაგან აწეებული სახელმწიფო ბოლოს და ბოლოს ინგრევა, ერები თავისუფლებიან და ძველ სახელმწიფოს ნანგრევებზე, აღმოცენდებიან თავისუფალი ერთგული სახელმწიფოები. ახალი ხანის დასაწყისში ერი უკვე გამოკრეული ერთგულია და ყოველ მის მოქმედებას წინდა ეროვნული მიზანი აქვს. ერი და ერის უფლებები აღიარებული ფაქტობია. ერთა შორის მყარდება უფლებრივი დამოკიდებულება. ერის უფლებებს იცავს მეცნიერებაც და საერთაშორისო უფლების მეცნიერულად დამუშავებას საძირკველი ეყრება. კაცობრიობის პროგრესთან ერთად ერთგული ინტერესებიც

ტარაზი. და თქვენ მიიღებთ 1914 წლიდან 25 მილიონ სულს დანაკლის, ე. ი. საფრანგეთის მცხოვრებთა ნახევარი მეტი (დასულთა რიცხვი ითვლებიან ომში დასხვილები, 3 მილიონი, სიმშრომის დროს მარტო ვოლგის გუბერნიებში 5 მილიონი, ჩეკის მსხვერპლიც სხვაა. ავტ.) ვინაიდან თქვენ «დაეინებით მოითხოვთ»—უბრუნებთ რაკოვსკი ფრანგებს— რომ გაჩვენოთ ჩვენი შესაძლებლობა ვალდების გადახდაში, მე შევეცდები ამ კითხვასაც, ჩვენი საჯარო ბალანსი უცხოეთთან 1924-1925 წ.წ. 250-275 მილიონ მანეთის პასივით დაბლოვდა ჩვენთვის. ამის მნიშვნელობა, იმედია, არ გამოგებარებთ თქვენ. ჩვენ არა ვგაქვს ის «უჩინარი» მილიარდები, რომელიც სარგებლის და დივიდენდების სახით მოგდით თქვენ და განსაკუთრებით ინგლისელებს უცხოეთიდან. ამასთანავე ნუ დაივიწყებთ, რომ 70 პროც. იმისა, რასაც თქვენთან კერძო თაოსნობა აკეთებს, ჩვენში სახელმწიფო უნდა გააკეთოს, ამისათვის კი მას სჭირია «უთვალავი მილიარდები». რა გზით უნდა ვიშოვოთ ჩვენ ეს მილიარდები, თუ არა სესხით? ამერიკელი ეკონომისტი მულტონი კი ამტკიცებს, ძველი ვალიც რომ არ გადაიხადოს რუსეთმა, მას შეუძლია მხოლოდ 400 მილიონ მანეთის ახალი ვალის თავნი და სარგებელი იხადოს, და ისიც მაშინ, თუ მისი ბალანსი ომის წინა დროს ბალანსს გაუთანაბრდება.

მე სიამოვნებით ვიღებ—ათავეს რაკოვსკი—თქვენი მეგობარის ერთ აზრს, რომ ფრანგ-კარდინალიზმმა «მონაწილეობა მიიღოს ს. ს. რ. კ. შემოსავლებში». მაგრამ ეს შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც ისინი მონაწილეობას მიიღებენ ს. ს. რ. კ. საკრედიტო ოპერაციებში. მეოთხეული მიხედვარია, თუ რისთვის ახდა რაკოვსკი დაფრანგული ოპერატიული ბუნებრივების ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს. მას სურდა, ერთის მხრით, თავი შეებრალდებინა მეგობრებისათვის და, მეორეს მხრით, ახალი სესხი დაეტყუებინა. მიადრეკს ამას თუ არა, შემოღობა გვიჩვენებს, თუ რაკოვსკი რამე დასტყუა ჯერ მოსკოვს. ფრანგებს კი დაპირდა 60 მილიონ ოქროს ფრანკს წელიწადში, 52 წლის განმავლობაში... ვალს კი არ ცნობილობს დღესაც!

ამ დროებით კი სასარგებლოა სათანადო დასვენება გააკეთოს მეოთხეული რაკოვსკის მიერ მოყვანილ ფაქტებიდან, თუ რამდენად უმწეოა მოსკოვის მდგომარეობა და რამდენად უნიადგავია მისი აგენტების ყუყურობა ჩვენში. ერთი ფრანგი ბელგიაში.

ფრანგულ საყურადღებოა და ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისმომირის. რაც ბელგიაში ხდება. ვაშობთ «ჩვენთვის», რადგან ვეროპანში საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას ჩვეულებრივ ადარებენ ბელგიისას, დიდი ომის დროს, როცა ის გერმანიის ოკუპაციის ქვეშ იყო და მისი მთავრობა დაკვირვება პოლიტიკური პარტიები გაერთიანებული ფრანგები ებრძოდნენ მტერს მამულის დასახსნელად. ჩვენ გვასწავს ის ღრმა შთაბეჭდილება, რომელიც ბელგიელ დელეგატის დებრუჟერის აღწერებულმა პასუხმა მოახდინა ერთა ლიგაში, ერთ სექციტკურ შეკითხვაზე საქართველოს შესახებ: მაშ თქვენ იპვი უნდა შეგეტანათ ბელგიის მონაწილეობა—შესახება დებრუჟერმა—, ჩემი ქვეყანაც იყო სწორეთ ოთხი წელი უცხო ჯარების ხელში და ჩვენც ვიბრძოდით, როგორც დღეს ქართველები!

მაგრამ ეს იყო ომის დროს—მოთიანი ფრანგი, და დღეს რად დასკირადთ იგი ბელგიელთ? იმავე მიზნისთვის—მამულის სახსნელად, მხოლოდ არა უცხოეთის ოკუპაციისაგან, არამედ ფინანსურ გაკორტებისაგან. დიდმა ომმა ივლიცას 54 მილიარდი ფრანგი ვალი დაუტოვა, აქედან 20 მილიარდი უცხოეთის მართებს მას. პირველ ხანებში, გამარჯვების შემდეგ, ხალხი არ იმტერებდა მაინცდამაინც თავს, თუ ვისგან არ ირგორ უნდა დადარულიყო ამოდენა ვალი. ერთნი ფიქრობდნენ, რომ დამარცხებული გერმანია იკისრებდა ამას, მეორენი ემყარებოდნენ გარეშე კრედიტორთა გულჩვილობას. მაგრამ, როცა აღმოჩნდა, რომ ერთნიც და მეორენიც ცდებოდნენ, ყოველ შემთხვევაში, თავიანთ გადასარებულ იმედებში, ამოიწველებული შეიქნა ხალხი პირდაპირ შეხედნა სინამდვილისთვის და ამოეკითხა იქიდან მწარე ჭეშმარიტება—რომ მან თვითონ უნდა გაეყოს თავი მეგვლადა უფლად.

ჯერო, მანასადამე, ხალხზე მიდგა, მაგრამ ის ხომ ერთნაირი არ არის შემადგენლობით: არიან მარბინი, მდიდარნი, კლასები, პარტიები, მათი პროგრამები, ინტერესები... აუცილებელი იყო ბრძოლა მათ შორის იმის გამო, თუ ვის, როგორ, რა პროპორციით უნდა გადაეხადა ვალი. ეს ბრძოლა დაიწყო კვირვებ შარშინ და, რაც დრო გადიოდა, მით უფრო მწვერვლებდა.

საპარლამენტო არჩევნებმა შარშან ვერ გადაწყვიტა დავა. მან თუმცა დასცა კათოლიკურ პარტიის ბატონობა და ლიბერალებს კიდევ უფრო მეტი ხარალი მიაციენა, არც გამარჯვებულ სოციალისტურ პარტიას არგუნა აბსოლიუტური უმრავლესობა. ამ პირობებში რამე ჩამოყალიბებულ ფინანსურ სისტემის გაყვანა შეუძლებელი იყო. თავდაპირველათ სამინისტროც ვერ შეადგინეს. მეფე მიმართავდა ხან ერთს, ხან მეორე პარტიას, მაგრამ ვერც ერთი პოლოვდა უმრავლესობას პარლამენტში. ბოლოს სოციალისტები იძულებული შეიქნენ შესულიყვნენ კოალიციურ სამინისტროში კათოლიკებთან ერთად და მთელი წელიწადი განავადდნენ საქმეს. ისინი შეუთანხმდნენ ამერიკას და ინგლისის ვალდების რაოდენობაში და გადახდის წესში, მაგრამ, როცა დააპირეს მდიდრების სათანადო დაბეგვრა და გარეშე სესხის აღება, მათ აუჯანყდნენ როგორც შინაური, ისე გარეშე ბანკირები.

ფრანგი დეპუტატი ქვეტი, ცხოვრება დილით-დღე ძვირდებოდა, უცხოეთიდან ხალხში საშიშარ სახეს იღებდა. ამის და მიხედვით იწყება პოლიტიკური დარაზნვა აქეთ ბურჟუაზიის. იქით მუშათა კლასის, აქეთ ფაშისტების. 'იქით სოციალისტების, სამოქალაქო ომის სუნი სდგას ყველაგან: ქარხანაში, ქუჩაში, ყაზარებში, თვით სსახელმწიფოში.

არსად ისე არ არის დარაზნული, შეკავშირებული და შეგნებული მუშათა კლასი, როგორც ბელგიაში. და სწორეთ ამ კლასის პარტიას და მის ბელადებს მიეწეობათ. თუ არ გასცა შეგუბებული სისხლის ნიადაგი და არ წალკა მთელი ბელგია. ისინი მიხედნენ, რომ საჭიროა საერთო ძალით გამტარებდა საერთო გასაჭირთან, და გაუშვირეს ხელი სხვა პარტიებს.

ტა ხანს გაგრძელებოდა ასე. ფრანკის ბილეთები ამოიწურებოდა და კასები უნდა დაეკეტათ, რაც გაკორტებას უდრიდა. ფრანკის ასეთ დაცემაში დიდ როლს თამაშობდნენ უცხოელინიც და თვით ფრანგებიც: ფრანკები გამოჰქონდათ ბირჟაზე და ახურდავებდნენ დოლარებზე და გირვანქებზე. და ვინაიდან ეს აკრალული იყო თვით საფრანგეთში, აქაური მდიდრები უცხოეთში აპარებდნენ ფრანკებს და იქ ასაღებდნენ.

საფრანგეთის და უცხოეთის ბანკირებმა დაანგრეს ფაქტიურათ მემარცხნეთა კარტელი პარლამენტში. ერთს უკანსენელი სამინისტრო ერთგვარი ცდა იყო კარტელის აღდგენისა, მაგრამ სასტიკათ დამარცხდა, ბირჟამ მას უპასუხა 250 ფრანკით!

ხალხს ნდობა არა აქვს მთავრობისა და პარლამენტის—გაიძახებდნენ მემარჯვნივნი—, საჭიროა პირველ ყოვლისა ნდობის მოპოება და ეს კი შეუძლია ყველა პარტიათა ვაერთიანებას, სოციალისტების და კომუნისტების გარდა, და მათ სათავეში ყველაზე ავტორიტეტულ პირის მოწვევასო. ეს მართლაც განხორციელდა: მოიწვიეს პუანკარე და მან შეიყვანა სამინისტროში ყველა პარტიების, ძველი ნაც. ბლოკის და კარტელის ლიდერებიც, დაწყებული მარინთ და გათავებულ-ი ერთობი. პუანკარემ სცადა სოციალისტების მოწვევაც, მაგრამ ამათ უარი განაცხადეს და ოპოზიციის რიგში ჩადგნენ.

ეს არ არის გასაკვირი, ვინც აქაური მდგომარეობა იცის: მათ არ მოსიურვებს ერთს კანდიდტი შესვლა და ამა პუანკარესთან არ რაგორ შევიდოდნენ. მათ აქეთ თავიანთი პროგრამა—გადასახადი კაპიტალზე, რომელსაც ბურჟუაზია სოციალურ რევოლუციის დასაწყისად სთვლის.

პუანკარე, როგორც მტკიცე რესპუბლიკელი, იქვს არ იწყებდა არაიქვითი. ეწინააღმდეგებოდა სავაზრობის გარეულებების, მაგრამ ბრინანის საგარეო მინისტრად დატოვება უკვე ამტკიცებდა, რომ ის არ აუხვევდა ლოკარნოს გზას. რაც შეეხება შინაურ პოლიტიკას, იმედი აქვთ, რომ ის არ დაუშვებს არც კომუნისტურ და არც ფაშისტურ გადატრიალებას.

პუანკარეს სამინისტროს შედგენის შემდეგ ფრანკმა აწვეა დაიწყა გირვანქა სტერლინგი 160 ფრანკამდე დავიდა. მიღებული ფინანსური კანონები, უნდა ითქვას, მდიდრების სასარგებლოთაა აქამდის—ესა უმთავრესი მიზეზი ფრანკის გამოკეთებისა. მაგრამ პუანკარემ ისეთი კანონი მიადგინა პროლამენტს, რომელიც უახლოვდება სოციალისტების პროექტს: დაარსება ვალდების სამორტრაციო კასის, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედგას თამბაქოს მონოპოლიის ინდუსტრიალიზაცია და შემოსავალი. (ბელგიაში ასეთ ბაზად სახელმწიფო იკისრებდა მინეულებს).

და რომ კასს არავინ შეეხოს და ეს გარანტია ურყევი დარჩეს, პუანკარემ ეროვნული ყრილობა მოიწვია ვერსალში (პალატის და სენატის გაერთიანებული სხდომა) და კასის კანონი კონსტიტუციის ერთ-ერთ მუხლად გახადა.

და ეს იმისთვის, რომ ნდობა აღედგინა ხალხში ხელისუფლებისადმი. მაგრამ ეს ზომები როდი ჰქრის მთავარ ფინანსურ სიძნელეთ, ამით არ გაქრება 600 მილიარდი ვალი! ვაშინ-გტონის და ლანდონის შეთანხმებანი, ვალის შესახებ, რატი-ფიკაციის უტლიან...

რუს ბლოკი მინაფრმა ქიშპობამ და რდევამ ისეთ ძალით და სიმტკიცით გადმოხტა კომპარტიის კონსპირაციის ფარგლები, რომ მთელი ქვეყანა გაოცდა და თვით ურწმუნობამაც იწამეს. რომ მოსკოვის დიქტატურის რეჟიმის აღსასრული არც ისე შორსაა. გარეშე მათურბლობისათვის აქ ახალია არა თუთა უთანხმოებანი, რომლებმაც ლენინის «მონოლიტი»—პარტია და მისი «ძველი გვარდია» კაი ხანია ერთი მეორეს წინააღმდეგ მებრძოდ სექტებთ აქციეს, არამედ ის საოცარი ტემპი, რომლითაც ვითარდება რდევის პროცესი.

კრება მწუხარებით აღნიშნავს—ამბობს ბუნხარინის რევოლუციის ლენინგრაძის «პარტიკის» მიერ შედგენული—რომ გაერთიანებული შინაპარტიული ოპოზიციის უფრო და უფრო შორდება პარტიის იდეურ პოზიციას და ამყამდ აყენებს პარტიისგან განსხვავებულ პლატფორმას საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკის მთელ რიგ უმნიშვნელოვან საკითხებში.—პლატფორმას, რომელიც წარმოადგენს ძირიან და სავსებით განდგომას ლენინის შეხედულებიდან. (იხვეს. № 172).

ვიევის პარტია რდევის ადგილას, რომელსაც ორგანიზაციული ჩამოყალიბების მისწრაფება არ ემჩნეოდა; დღეს სტალინის თვითმპყობელობას დაპირდაპირებია სურთა ორგანიზაციული და ხელმძღვანელობით მრავალფეროვანი საქამ გაბატონებულ ხელისუფლების ჩამოგდების მისწრაფებით ვერაირი ნებული ოპოზიციის, რომელიც მოქმედებდა რეალურად, ვერც გრადში. ისე მოსკოვში, ბაქოში, აღესაში, ციმბირში და სს. და სს.. მათი მუშაობის წესი გაბატონებულ რდევის წინააღმდეგ ძლიერ უახლოვდება «სოციალ-გამტკიცების» და სხვა «კონტრ-რევოლუციუ.» პარტიათა ანტისაბჭოთა მოქმედებას.

რით უპასუხეს სტალინი-ძეირინსკიმ ამ შეთქმულებას საკუთარ პარტიაში? ჯერჯერობით მხოლოდ «შინაპარტიული» საშუალებებით: ე. ი., მომეტებული რევოლუციუებით, რომლებიც ყველგან «ერთხმით» ყოფილა მიღებული. ამ რევოლუციების ერთად ერთი არგუმენტი ოპოზიციის კრიტიკის საპასუხოდ არის ლენინის სახელით ფიცი. ხოლო კერძინისკის უკანასკნელი სიტყვა მოწმობს, რომ სტალინს და მის მიმდევრებს პარტიულ კრებებზედაც ვერაფერი დაუპირდაპირებია ოპოზიციის კრიტიკისათვის გარდა მისი წევრებისადმი პირადი ლანდვისა და საბჭოთა საქმიანობის სრული უწყსეობის და უთავბოლობის აღიარებისა. სამაგიეროთ ამიერიდან ოპოზიციის გაქრება «დაკვირთი ამოცანათა» აღიარებული: რევოლუციები გვეფიცება: მას არსად ორგანიზაციებში გავლენა აღარ აქვს, ლენინის ერთობას და მონოლიტის უსათუოდ აღვადგენითა და სხვა და სხვა. ხოლო რომ ამ ხალხს საკუთარი ფიცი და ღაღადი არ სწამს და დიდი შიში აქვს ოპოზიციის, რომელიც პარტიამ და მის გარეთაც დიდ ძალას და საფრთხეს წარმოადგენს, სნანს იქიდას, რომ სტალინიმ საბჭოთა ყრილობის მოწვევა ვერ გაბედა და ის არჩევნებთან ერთად გაზაფხულისათვის გადასდო. ამ ფაქტის მნიშვნელობას ვერ დაფარავს მილიონი ბოლშევიკური რევოლუციის. ოპოზიციის ძლიერია და საფრთხეს წარმოადგენს არა ზინოვიევის, კამენევის, ტროცკის თუ შინაპარტიულ-მედევევის პირად პატივმოყვარეობის და ხელისუფლებისაკენ წყურვილის გამო, არამეთ იმით, რომ ის გამოძახილია იმ ღრმა პროცესის და წინააღმდეგობის, რომელიც ჩაება საბჭოთა კავშირის ნების შემოღების შემდეგ «ახალი» ეკონომიურ ნიადაგზე აღორძინდა ძველი, კარგად ცნობილი სოციალური ურთიერთობა, ძველი სოციალური რდევები, რომელთაც თვითუღოს თავისი საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილება სწყურია და რომელთ ნებისითი თუ უნებლიეთ, მდროუვებათ გამოდიან «პოზიციის» და ოპოზიციის რდევები. რაც დღე მიდის, მით უფრო გაბედულათ და მოურიდებლათ ეხეტება ეს ახლათ აღორძინებული ძალები კომპარტიის კედლებს დასარღვევად.

ფრანკული ტრავალია საქართველოს ისტორიიდან.

გ. გვანამაძე გადმოთარგმნა ლექსად საფრანგეთის გამოჩენილი დრამატიული მწერლის კრებიონის (Crébillon 1674—1762) ხუთ მოქმედებანი ტრავედია საქართველოს ისტორიიდან, სახელად «რადამისტ და ზენობე». ავტორი ამ თხზულების დაწერის დროს სარგებლობდა რომელ ისტორიკოსის ტაციტუსის მასალებს და ავოიურს იბერიის მეფის ფარსმანის (პირველი საუკ. ქრ. წ.), მისი შვილის რადამისტის და უკანასკნელის ცოლის ზენობეს ამბავს. ამ ტრავედიას მთელი საუკუნის განმავლობაში არდგენდნენ პარიზის თეატრებში და იგი აოველთვის დიდს აღფრთოვანებას იწვევდა საზოგადოებაში. თარგმანი შესრულებულია ცოცხალი რიფმებიანი ლექსით. მთარგმნელმა პიესას შეუცვალა სახელი და უწოდა «ფარსმანი, მეფე ივერიისა».

გივივ გ. გვანამაძე შეუდგა ვეროპის საშუალო საუკუნეების განთქმულ ეპოსის «როლანის სიმღერის» გადმოთარგმნას ფრანგულიდან.

წერილი რედაქციის მიმართ.

დიდათ პ—ლო რედაქტორო! გთხოვთ გახეთ «დამოუკიდებელი საქართველოს» უახლოეს ნომერში მოავითავსოთ შემდეგი:

კომუნისტურათ მოწინააღმდეგე კალმები პარიზში და თვით კომუნისტები მათ მიერ ღირსება აყრილ სამშობლოდან ბევრს ლაებობენ ჩვენი ემიგრაციის წახდენაზე. სინამდვილეში სრულიად წინააღმდეგია. ავტო რამდენიმე თვის ისტორია აქვს ჩვენს კულტურულ წრეს ოდენჯურში, სადაც სისტემატიურათ იკვთება ლექციები: ფინანსიური კითხვიდან, დასავლ. ევროპის კულტურულ-პოლიტიკური ცხდვებიდან, მსოფლიო ისტორიიდან, ასტრონომიიდან, მათემატიკიდან და სხვა. კულტურულ მუშაობაში სხვა მიღწევათ შორის ქართული სამკითხველს განსნაც შესძლო ადგ. კულტურულმა წრემ. ეს დიდი განძი კულტურულ-მუშაობისა ქარხანაში მომუშავე ქართველებმა შესძლეს თავისი სანტიმებით აუწუნებიათ. აუწერულთა ის ენტუზიაზმი და ერთი მეორის წახალისება, რომელიც იმით გამოიჩინეს სამკითხველს დაარბებამი. სამკითხველს განსნაც მოხდა 26 მაისის სახეიმი მიტინგზე, სადაც დამსწრეთა ნაწილმა შეკრებილა სამკითხველო მონათლეს «26 მაისის სახეიმი».

ჩვენ აქ მოვიყვანთ სიას იმ პირთა, რომლებიც აღტაციებით მიეგებენ სამკითხველს განსნას და გაიღეს მის დასახნარებლათ წვლილი:

ინიაშვილი ქრისტეფორე 25 ფრ., რუხაძე პოლიკარპე 25 ფრ., ჩიკვილაძე სვიმონ 20 ფრ., ჯორბენაძე ალექსი 20 ფრ., თხუთმეტ-თხუთმეტი ფრანკი: ბაქრაძე ვლადიმერ, ბოცვაძე ივანე, თაყაიშვილი ნიკოლოზი, მაქავარიანი ერასტი, რევაზიშვილი დავით, ჩხიკვიშვილი ვარდენ, ცინცაძე გრიგოლ, ქუროძე შიო, ყაზარციანი ლუკა; ათ-ათი ფრანკი: აღიმბარაშვილი ზაქარო, ვადაჭკორია აკაკი, კვაშალი ექვთიმე, კვიციანი აქესენტი, კიკვაძე არტიმონ, მარჯანიძე ვასილ, მაქავარიანი პეტრე, მეგრულიძე ისკენდერ, მელიქაძე ბაყათარ, მელუა მიროან, მდივანი ჯარისმან, ელენტი კვირიანი, ურუშაძე ავთანდილ, ურუშაძე ერასტი, ურუშაძე სვეტირანი, შალამბერიძე ვასილ, შარაძე ფილიპე, ჯავლიძე შალვა; ბერბიჭაშვილი გაბო 5 ფრ.

სამკითხველსთვის გამოიწერეს, დოლოძე ვლადიმერმა «სოც. ვესტნიკი», ხელაძე დავითმა საქართველოდან ყურნალი «მნათობი». კულტურული კომისია უღრმეს მადლობას უცხადებს ზემოთ მოყვანილ პირთ და გამოსთქვამს იმედს, რომ საფრანგეთის პროვინციაში ახლად დაარსებული «26 მაისის სახელობის ქართული სამკითხველო», რომლის მიზანია ქართველი ემიგრაციის გათვითცდობიერება და მისი თავის სიმღლენე დაყენება, გამოძახილს კპოებს ყველა ქართველს გულში. დახმარების მსურველი მოქალაქენი მიმართავენ პარიზში ბ-ნ კოკაიას (საქართველოს ლეგაცია 4 Impasse des Prêtres, Paris (16), ხოლო ოდენჯურში ადგილ. კულტურულ კომისიას Bibliotegue Georgien, Audincourt (Doubs).

ავტორების კულტურული კომისია. Redaction et Administration: M. J. GOBETCHIA 18, rue des Acacias, Paris. Le Gérant: LARGILIERE.